სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9
2011 წლის 7 აპრილი ქ. თბილისი

გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ *(სათაური 29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს:

ა) „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“; *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

ბ) **ამოღებულია** *(21.05.2015 N6 ამოქმედდეს 2015 წლის 22 მაისიდან)*

გ) აფიდავიტის ფორმა (დანართი №2).

დ) **ამოღებულია** *(26.02.2016 N 3 ამოქმედდეს 2016 წლის 1 მარტიდან)*

ე) იმ მომსახურების CPV კოდები, რომელთა შესყიდვა შესაძლებელია პრეისკურანტის საფუძველზე. *(21.08.2013 N 15)*

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანება.

3. ბრძანება, გარდა ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლისა და მე-8 მუხლის მე-12 პუნქტისა, ამოქმედდეს 2011 წლის 1 მაისიდან. *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

4. ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლი ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივნისიდან.

5. ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-12 პუნქტი ამოქმედდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე. *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

ტ. ურჯუმელაშვილი

გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი *(სათაური 29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ“, „მ[1]“, „ჟ“, „რ“, „ღ“ და „ჩ“ ქვეპუნქტების, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-9 მუხლის 1[1] პუნქტის, 12[1], 15[1], 16[1], 19[1], 21-ე მუხლებისა და 24-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

2. წესის მიზანია სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის რეგლამენტაცია, კოორდინაცია და მონიტორინგი.

3. წესის მოქმედება ვრცელდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე. *(29.10.2015 N16)*

4. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მიმართ გამოიყენება ელექტრონული ტენდერისათვის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონითა (შემდგომში – კანონი) და ამ წესით დადგენილი ნორმები, თუ კანონით ან/და წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. ამ წესით განსაზღვრულ პროცედურებსა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებულ პროცედურებს შორის შეუსაბამობის წარმოშობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სისტემაში არსებულ პროცედურებს. ასეთი შეუსაბამობის წარმოქმნიდან არა უგვიანეს შვიდი დღისა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ (შემდგომში – სააგენტო) უნდა უზრუნველყოს წესში შესაბამისი ცვლილებების ან/და დამატებების მომზადება და წესში ცვლილებების ან/და დამატებების შესატანად კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაწყება.

6. სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელებისათვის სავალდებულოა შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. წესის მიზნებისთვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა – სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.procurement.gov.ge განთავსებული სახელმწიფო შესყიდვების პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებას გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის მეშვეობით ღია, გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში (შემდგომში – სისტემა);

ბ) ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა – სისტემის მეშვეობით გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის საშუალებით ჩატარებული სახელმწიფო შესყიდვა;

გ) **ამოღებულია** *(21.05.2015 N6 ამოქმედდეს 2015 წლის 22 მაისიდან)*

დ) **ამოღებულია** *(21.05.2015 N6 ამოქმედდეს 2015 წლის 22 მაისიდან)*

ე) რეგისტრირებული მომხმარებელი – შემსყიდველი ორგანიზაცია ან მიმწოდებელი, რომელიც, დადგენილი წესით, დარეგისტრირდა სისტემაში; *(21.05.2015 N6 ამოქმედდეს 2015 წლის 22 მაისიდან)*

ვ) მიმწოდებელი – პირი, რომელსაც აქვს შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის სურვილი ან რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

ზ) სატენდერო განცხადება – შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სისტემაში განთავსებული განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ;

თ) ტენდერის ჩატარება – გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან/და ელექტრონული ტენდერის (შემდგომში – ტენდერი) საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის/წარმომადგენლების ქმედებათა ერთობლიობა;

ი) ტენდერის მიმდინარეობის სტატუსი – რეგისტრირებული მომხმარებლის ქმედების შედეგად სისტემის მეშვეობით ტენდერისთვის მინიჭებული ამ პუნქტის „კ“ – „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტატუსი, რომელიც ასახავს ტენდერის მიმდინარეობის კონკრეტულ ეტაპს (შემდგომში – სტატუსი);

$ი^1$) ხელშეკრულების სტატუსი - რეგისტრირებული მომხმარებლის ქმედების შედეგად/ავტომატურად სისტემის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებისთვის (შემდგომში – ხელშეკრულება) მინიჭებული ამ პუნქტის „$ჟ^1$–$ჟ^3$“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტატუსი, რომელიც ასახავს ხელშეკრულების მიმდინარეობის კონკრეტულ ეტაპს (შემდგომში – ხელშეკრულების სტატუსი); *(20.06.2013 N 12)*

კ) ტენდერი გამოცხადებულია – სტატუსი, რომელიც მოიცავს სატენდერო განცხადების სისტემაში განთავსებიდან სატენდერო წინადადებების მიღების დაწყებამდე ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს. მხოლოდ აღნიშნულ ეტაპზე აქვს შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება შეიტანოს ცვლილება სატენდერო განცხადებაში (გარდა ტენდერის ტიპისა და შესყიდვის ობიექტისა) და შეცვალოს სატენდერო დოკუმენტაცია სისტემაში უკვე ატვირთული სატენდერო დოკუმენტაციის გაუქმებით და შეცვლილი/დამატებული დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის გზით;

ლ) წინადადებების მიღება დაწყებულია – სტატუსი, რომელიც მოიცავს ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს, რომლის დროსაც მიმწოდებელს უფლება აქვს წარადგინოს თავისი სატენდერო წინადადება და მიიღოს მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის ტენდერისთვის მინიჭება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ ტენდერს დადგენილი წესით არ მინიჭებია ამ პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსი;

მ) წინადადებების მიღება დასრულებულია – სტატუსი, რომელიც მოიცავს ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების

დასრულებიდან ტენდერისთვის შერჩევა/შეფასების სტატუსის მინიჭებამდე. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის ტენდერისთვის მინიჭება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ ტენდერს დადგენილი წესით არ მინიჭებია ამ პუნქტის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტატუსები ამავე პუნქტში მოცემული თანმიმდევრობით;

ნ) შერჩევა/შეფასება – სტატუსი, რომელიც მოიცავს ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს, რომლის დროსაც ხდება ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება და შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის (შემდგომში – სატენდერო კომისია) სხდომის ოქმის და შესაბამისი დოკუმენტაციის (ასეთი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში) სისტემაში ატვირთვა, რაც უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ ოქმის დადგენილი წესით შედგენისთანავე, არა უგვიანეს იმავე დღისა. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის ტენდერისთვის მინიჭება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ ტენდერს დადგენილი წესით არ მინიჭებია ამ პუნქტის „კ“–„მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ყველა სტატუსი ამავე პუნქტში მოცემული თანმიმდევრობით;

ო) გამარჯვებული გამოვლენილია – სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მას შემდეგ, რაც სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი და შესაბამისი დოკუმენტაცია (ასეთი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში) დადგენილი წესით აიტვირთება სისტემაში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია, მათ შორის, დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია, აგრეთვე შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა (ასეთი მოთხოვნის არსებობის შეთხვევაში) შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებს. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის ტენდერისთვის მინიჭება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში არც ერთმა მიმწოდებელმა არ მიიღო მონაწილეობა და ამ ტენდერს დადგენილი წესით არ მინიჭებია ამ პუნქტის „კ“–„ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ყველა სტატუსი ამავე პუნქტში მოცემული თანმიმდევრობით; *(23.01.2015 N 1 ამოქმედდეს 2015 წლის 15 თებერვლიდან და არ გავრცელდეს 2015 წლის 15 თებერვლამდე გამოცხადებულ ტენდერებზე)*

პ) მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება – სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მას შემდეგ, რაც სატენდერო კომისიის შესაბამისი სხდომის ოქმი, რომლითაც დასტურდება ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ ამ წესის მოთხოვნათა დაცვით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების შესაბამისობა სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებთან და მიმწოდებლის მიერ ამ წესის მოთხოვნათა დაცვით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები აიტვირთება სისტემაში. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის ტენდერისთვის მინიჭება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში არც ერთმა მიმწოდებელმა არ მიიღო

მონაწილეობა და ტენდერს დადგენილი წესით არ მინიჭებია ამ პუნქტის „კ“–„ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ყველა სტატუსი ამავე პუნქტში მოცემული თანმიმდევრობით;

ჟ) ხელშეკრულება დადებულია – სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სისტემაში აიტვირთება დადგენილი წესით მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულება და სისტემის შესაბამის ველში მიეთითება აღნიშნული მიმწოდებლის სახელწოდება. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის ტენდერისთვის მინიჭება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში არც ერთმა მიმწოდებელმა არ მიიღო მონაწილეობა და ტენდერს დადგენილი წესით არ მინიჭებია ამ პუნქტის „კ“–„პ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ყველა სტატუსი ამავე პუნქტში მოცემული თანმიმდევრობით; *(20.06.2013 N 12)*

ჟ^1) მიმდინარე ხელშეკრულება - ხელშეკრულების სტატუსი, რომელიც ასახავს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობას. ეს სტატუსი სისტემის მეშვეობით ავტომატურად ენიჭება ხელშეკრულებას მას შემდეგ, რაც ტენდერს მიენიჭება სტატუსი ,,ხელშეკრულება დადებულია; *(20.06.2013 N 12)*

ჟ^2) შესრულებული ხელშეკრულება - ხელშეკრულების სტატუსი, რომელიც ხელშეკრულებას ენიჭება მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სისტემის შესაბამის ველში აიტვირთება ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ხელშეკრულებისათვის ამ სტატუსის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტაციის სისტემის შესაბამის ველში ატვირთვისა და საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაციის ასახვის შემდეგ; *(2.07.2013 N 14 ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან)*

ჟ^3) შეუსრულებული ხელშეკრულება - ხელშეკრულების სტატუსი, რომელიც ხელშეკრულებას ენიჭება მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სისტემის შესაბამის ველში აიტვირთება ხელშეკრულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ხელშეკრულებისათვის ამ სტატუსის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტაციის სისტემის შესაბამის ველში ატვირთვისა და ფაქტობრივად გადახდილი თანხების ასახვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემდეგ; *(2.07.2013 N 14 ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან)*

რ) დასრულებულია უარყოფითი შედეგით – სტატუსი, რომელიც ტენდერს ავტომატურად ენიჭება, თუ მასში მონაწილე ყველა პრეტენდენტმა ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებამდე უარი თქვა სატენდერო წინადადებაზე ან ტენდერში მონაწილე ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე ყველა პრეტენდენტმა მიიღო დისკვალიფიკაცია. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის ტენდერისთვის მინიჭება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში არცერთმა პრეტენდენტმა არ მიიღო მონაწილეობა; *(28.06.2016 N 5 ამოქმედდეს 2016 წლის 1 ივლისიდან)*

ს) ტენდერი არ შედგა – სტატუსი, რომელიც ტენდერს სისტემის მეშვეობით

ავტომატურად ენიჭება მას შემდეგ, რაც ტენდერმა მიიღო ამ პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსი და არც ერთმა მიმწოდებელმა არ მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ ტენდერში; *(8.07.2011 N 16)*

ტ) ტენდერი შეწყვეტილია – სტატუსი, რომელიც შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ტენდერს შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ატვირთავს სატენდერო კომისიის სხდომის შესაბამის ოქმს, რომელშიც მოცემული იქნება ტენდერის შეწყვეტის საფუძველი. აღნიშნული სტატუსის მინიჭება შესაძლებელია ტენდერის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, გარდა ტენდერისთვის ამ პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭების შემთხვევისა;

უ) უფლებამოსილი წარმომადგენელი – რეგისტრირებული მომხმარებლის სახელით სისტემაში დადგენილი წესით რეგისტრირებული და მოქმედი ფიზიკური პირი. შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი სისტემაში მოქმედებს სატენდერო კომისიის სახელით;

ფ) CPV კოდი – „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით გათვალისწინებული კლასიფიკატორის 8-ნიშნა კოდი;

ქ) შესყიდვის ობიექტი – შესყიდვის ერთი ან რამდენიმე ერთგვაროვანი ობიექტი, რომლის შესყიდვის მიზნითაც ტარდება კონკრეტული გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ან ელექტრონული ტენდერი;

ღ) კლასიფიკატორის დანაყოფი – „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით გათვალისწინებული კლასიფიკატორის დანაყოფი;

ყ) სატენდერო დოკუმენტაცია – შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღწერის მიზნით სატენდერო განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონის 12^1 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს და შედგენილი უნდა იქნეს კანონის 12^1 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებისა და ამ წესის მოთხოვნათა დაცვით;

შ) სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი – შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სატენდერო განცხადებაში მითითებული თანხა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 0.4 პროცენტიდან 2 პროცენტამდე ოდენობით (შემდგომში – ბიჯი);

ჩ) სატენდერო წინადადება – ამ წესის მოთხოვნათა დაცვით, სისტემის მეშვეობით პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და სისტემის შესაბამის ველში მითითებული სატენდერო წინადადების ფასი (შემდგომში – წინადადება); *(8.07.2011 N 16)*

ც) ტექნიკური დოკუმენტაცია – პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ინფორმაცია, რომელიც

მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ამ პუნქტის „ჯ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა;

ძ) ელექტრონული ვაჭრობა – მიმწოდებლის მიერ წინადადების ფასის შემცირების პროცედურა, რომელიც მოიცავს ელექტრონული ვაჭრობის ძირითად დროსა და ელექტრონული ვაჭრობის დამატებით რაუნდებს. ელექტრონული ვაჭრობა მიმდინარეობს ტენდერის ამ პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ეტაპზე;

წ) ელექტრონული ვაჭრობის ძირითადი დრო – ამ პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტენდერის ეტაპი, რომელიც იწყება ამ პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დასრულებისთანავე და გრძელდება სატენდერო განცხადებაში მითითებული წინადადებების მიღების დასრულებამდე (შემდგომში – ძირითადი დრო);

ჭ) ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდები – ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი სამი რაუნდი (შემდგომში – დამატებითი რაუნდები), რომელიც იწყება ამ პუნქტის „წ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ძირითადი დროის დასრულებისთანავე და გრძელდება ამ პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე. პირველი დამატებითი რაუნდი იწყება ხუთწუთიანი შესვენებით, ხოლო შემდგომი თითოეული დამატებითი რაუნდის დაწყებამდე მიმდინარეობს ორწუთიანი შესვენება. თითოეულ დამატებით რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც თითოეულ პრეტენდენტს განესაზღვრება ორი წუთი; *(1.06.2011 N 13)*

ხ) ტენდერის ტიპი – გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ან ელექტრონული ტენდერი;

ჯ) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები – ამ პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნით პრეტენდენტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების დადასტურების მიზნით ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები;

ჰ) წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია – წინადადების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ სააგენტოსთვის სისტემის მეშვეობით წარდგენილი გარანტირების მექანიზმი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით (შემდგომში – ელექტრონული გარანტია). ყოველი კონკრეტული ტენდერისთვის ელექტრონული გარანტიის სააგენტოსთვის წარდგენა შესაძლებელია განხორციელდეს ამ ქვეპუნქტისგან განსხვავებული მეთოდით, მხოლოდ ამ წესის მე-16 მუხლის მე-5 და 51 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში; *(16.05.2013 N 11)*

ჰ^{1}) შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი – კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეესტრი (შემდგომში – შავი სია);

ჰ^{2}) **ამოღებულია** *(21.05.2015 N6 ამოქმედდეს 2015 წლის 22 მაისიდან)*

ჰ3) ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურება – ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გამართულობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით გასაწევი მომსახურება, გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალების რეცხვის მომსახურებისა;

ჰ4) პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება – დანართი №4-ით განსაზღვრული ან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მომსახურებისა და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საცხებ-საპოხი მასალის ერთეულის ღირებულება/ერთეულების სავარაუდო ჯამური ღირებულება; *(20.11.2014 N 10)*

ჰ5) პრეისკურანტის საბოლოო ღირებულება – გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული დანართი №4-ით განსაზღვრული ან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მომსახურებისა და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საცხებ-საპოხი მასალის ერთეულის ღირებულება/ერთეულების საბოლოო ჯამური ღირებულება; *(20.11.2014 N 10)*

ჰ6) შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება – ამ წესის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გამარჯვებულ პრეტენდენტთან დასადები ხელშეკრულების ღირებულება, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

ჰ7. შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრი – კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „მ1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეესტრი (შემდგომში – თეთრი სია). *(11.05.2012 N 4)*

ჰ8. ელექტრონული გარანტიების რეესტრი – საბანკო დაწესებულების ან/და სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტიების მონაცემთა ბაზა. *(21.08.2012 N 8)*

2. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ამ წესში მოცემული მინიმალური ზღვრების გათვალისწინებით დადგენილი ვადების ათვლა იწყება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი დოკუმენტის სისტემაში ატვირთვის მომდევნო დღიდან. *(20.06.2013 N 12)*

მუხლი 3. ამოღებულია *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

მუხლი 4. სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელება

1. შემსყიდველ ორგანიზაციათა შეთანხმებით შესაძლებელია ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელება.

2. შემსყიდველ ორგანიზაციათა შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელების თაობაზე იდება წერილობით ფორმით, რომელსაც ხელს აწერენენ შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ან მათ მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები. იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივი შესყიდვა

ხორციელდება ერთ სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ, ერთობლივი შესყიდვის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ზემდგომი თანამდებობის პირის ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. ამ პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმება ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სისტემაში უნდა აიტვირთოს სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმება ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს:

ა) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ბ) მითითებას იმ შემსყიდველი ორგანიზაციის შესახებ, რომელიც უფლებამოსილია გამოაცხადოს ტენდერი;

გ) მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პირობებს;

დ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების წესს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობები ასევე უნდა აისახოს ერთობლივი შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციაში.

5. შემსყიდველ ორგანიზაციათა შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელების თაობაზე, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა, შეიძლება შეიცავდეს აგრეთვე შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შეთანხმებულ სხვა პირობებს.

მუხლი 5. ამოღებულია *(21.05.2015 N6 ამოქმედდეს 2015 წლის 22 მაისიდან)*

მუხლი 6. რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ განმარტების მიღების უფლება (22.10.2012 N 12)

1. ტენდერისთვის ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებიდან ამავე პუნქტის „მ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა, ნებისმიერ მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის" მეშვეობით მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ტენდერისათვის ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,მ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 საათისა შესაბამის ტენდერში წინადადებების მიღების დასრულებამდე, სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის" მეშვეობით გააკეთოს შესაბამისი დაზუსტება/განმარტება, რითაც შესაძლებელია იხელმძღვანელოს ნებისმიერმა დაინტერებულმა პირმა.

2. ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი

დაზუსტება/განმარტების განხორციელების ვალდებულება შემსყიდველ ორგანიზაციას ეკისრება ასევე ტენდერისთვის ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებიდან ამავე პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისი დაზუსტება/განმარტება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში.

მუხლი 7. ალტერნატიული შესყიდვა

1. კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ღ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვისას შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთებული გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდეს შესყიდული საკომუნიკაციო მომსახურების ალტერნატიული შესყიდვა განსხვავებული მიმწოდებლისაგან.

2. ალტერნატიული შესყიდვის მეშვეობით მიღებული საკომუნიკაციო მომსახურების მოცულობა უნდა იყოს თანაზომიერი იმ საკომუნიკაციო მომსახურებისა, რომლის ალტერნატივასაც წარმოადგენს ალტერნატიული მომსახურება.

3. ალტერნატიული შესყიდვა შესაძლოა განხორციელდეს რამდენიმე ალტერნატიული მიმწოდებლისგან.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისთანავე შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია აცნობოს ამის თაობაზე მიმწოდებელს, რომელთანაც დადებულია იმ საკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვის თაობაზე ხელშეკრულება, რომლის ალტერნატივასაც წარმოადგენს ალტერნატიული მომსახურება.

მუხლი 8. სატენდერო განცხადება

1. სატენდერო განცხადების შევსება და განთავსება ხდება სისტემის მეშვეობით. წინადადებების მიღების დაწყებისა და წინადადებების მიღების დასრულების ვადის ათვლა იწყება სატენდერო განცხადების სისტემაში განთავსებიდან მომდევნო სამუშაო დღიდან. *(20.06.2013 N 12)*

2. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ ერთ სამუშაო დღეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსების მომენტიდან. ამ ვადის დასრულებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში პრეტენდენტს შეუძლია სისტემის საშუალებით წარადგინოს წინადადება და ელექტრონული ვაჭრობის გზით შეცვალოს წარმოდგენილი წინადადების ფასი კლებადობის პრინციპით და ფასის კლების ბიჯის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების დასრულების ვადა ემთხვევა შაბათ-კვირას ან უქმე დღეს, სატენდერო წინადადების მიღების ვადა დასრულდება მომდევნო სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ გამოცხადებულ

გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის ვადა აღემატება ერთ სამუშაო დღეს, შემდგომში დაუშვებელია ამ ვადის შემცირება. *(6.06.2012 N 5)*

3. ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ თხუთმეტ დღეს, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსების მომენტიდან. ამ ვადის დასრულებიდან ხუთი დღის განმავლობაში პრეტენდენტს შეუძლია სისტემის საშუალებით წარადგინოს წინადადება და ელექტრონული ვაჭრობის გზით შეცვალოს წარმოდგენილი წინადადების ფასი კლებადობის პრინციპით და ფასის კლების ბიჯის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების დასრულების ვადა ემთხვევა შაბათ-კვირას ან უქმე დღეს, სატენდერო წინადადების მიღების ვადა დასრულდება მომდევნო სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის ვადა აღემატება თხუთმეტ დღეს, შემდგომში დაუშვებელია ამ ვადის შემცირება. *(6.06.2012 N 5)*

3^1. ამოღებულია *(20.06.2013 N 12)*

4. სატენდერო განცხადებაში უნდა მიეთითოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ტენდერის ტიპი;

ბ) სატენდერო განცხადების ნომერი;

გ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

დ) ტენდერის გამოცხადების თარიღი ზუსტი დროის მითითებით;

ე) წინადადებების მიღების დაწყებისა და დასრულების თარიღი ზუსტი დროის მითითებით;

ვ) შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება;

ზ) მითითება წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში – დღგ) გათვალისწინებით თუ მის გარეშე;

თ) კლასიფიკატორის დანაყოფი და მისი შესაბამისი CPV კოდი;

ი) შესყიდვის კონკრეტული შესაძლო ყველაზე დეტალური ობიექტი და მისი შესაბამისი CPV კოდი;

კ) შესყიდვის ობიექტის რაოდენობა ან მოცულობა;

ლ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების ან შესრულების ვადა;

მ) წინადადებით წარმოდგენილი ფასის კლების ბიჯის ოდენობა;

ნ) ელექტრონული გარანტიის ოდენობა;

ო) შემსყიდველი ორგანიზაციის იმ უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი, რომელმაც განათავსა სატენდერო განცხადება სისტემაში, განთავსების თარიღი და ზუსტი დრო;

პ) ელექტრონული გარანტიის მოქმედების მინიმალური ვადა;

ჟ) მითითებას პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

რ) სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – შესასრულებელი სამუშაოს

გონივრული საგარანტიო ვადა; *(11.05.2012 N 4)*

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმით გათვალისწინებულ შესაბამის ერთგვაროვან შესყიდვის ობიექტთა ჯამურ ღირებულებას.

6. სატენდერო განცხადებაში შესაბამისი მითითების საფუძველზე, პრეტენდენტთა მიერ სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგება დღგ-ს გათვალისწინებით ან მის გარეშე.

7. სატენდერო განცხადებაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება და ბიჯის ოდენობა შესაძლებელია მითითებულ იქნეს მხოლოდ ლარში.

8. სატენდერო განცხადებას გააჩნია დამატებითი ინფორმაციის ველი, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შესყიდვის ობიექტის დამატებითი აღწერის მიზნით.

9. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა", „ე"-„ზ", „ი"–„მ", „პ" და „ჟ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები სატენდერო განცხადებაში შეტანილ უნდა იქნეს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, ხოლო ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" – „დ", „თ", „ნ" და „ო" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია სისტემის მეშვეობით ავტომატურად გენერირდება სატენდერო განცხადებაში.

10. სატენდერო განცხადების სისტემაში განთავსებისთვის აუცილებელია სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სისტემაში.

11. შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიას უფლება აქვს ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ეტაპზე შეიტანოს ცვლილება სატენდერო განცხადებაში მითითებულ მონაცემებში, გარდა ტენდერის ტიპისა და შესყიდვის ობიექტის ცვლილებისა.

12. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, სატენდერო განცხადება ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ველში შესაძლებელია განთავსდეს ინგლისურ ენაზე. თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 4 000 000 ლარს, სატენდერო განცხადების ყველა ველში მოცემული ინფორმაციის ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ველში ინგლისურ ენაზე განთავსება სავალდებულოა.

13. ამოღებულია *(31.12.2013 N 18 ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან)*

მუხლი 9. სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსება და დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანა

1. სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

ა) იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი;

ბ) შესასყიდი საქონლის რაოდენობას, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობას, საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის ვადას, ადგილსა და ფორმას;

გ) შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების სრულ აღწერას, მათ შორის, შესაბამის ტექნიკურ სპეციფიკაციებს, გეგმებს, ნახაზებსა და ესკიზებს;

დ) ხელშეკრულების იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წინასწარ არის ცნობილი, აგრეთვე მითითებას ხელშეკრულების ფორმაზე და ხელშეკრულების შესრულების გარანტიაზე (მისი არსებობის შემთხვევაში);

ე) მეთოდებს, რომლებითაც უნდა იყოს გაანგარიშებული სატენდერო წინადადების ღირებულება, იმის მითითებით, უნდა შეიცავდეს თუ არა იგი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების ღირებულების გარდა სხვა ხარჯებსაც (ტრანსპორტირება, დაზღვევა, გადასახადები და სხვა);

ვ) სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალებებსა და პროცედურას;

ზ) სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობასა და საკონტაქტო ინფორმაციას, რომელსაც უფლება აქვს, გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ;

თ) მითითებას საკომუნიკაციო მომსახურების ალტერნატიული შესყიდვის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ი) მითითებას შესყიდვის ობიექტის ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ვადის შესახებ (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში), ამ წესის მე-12 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად. *(23.01.2015 N 1 ამოქმედდეს 2015 წლის 15 თებერვლიდან და არ გავრცელდეს 2015 წლის 15 თებერვლამდე გამოცხადებულ ტენდერებზე)*

ი^{1}) **ამოღებულია** *(2.07.2015 N 11)*

კ) მითითებას ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულების შესახებ. *(2.07.2015 N 11)*

1^{1}. ამ მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე, არ გაითვალისწინოს სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება, რაც უნდა დასაბუთდეს. *(2.07.2015 N 11)*

2. სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ეტაპზე სისტემაში ატვირთული სატენდერო დოკუმენტაციის გაუქმებით და შეცვლილი/დამატებული დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის გზით. დაუშვებელია ტენდერის ტიპისა და შესყიდვის ობიექტის ცვლილება.

მუხლი 10. წინადადების წარდგენა

1. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს შეუძლია წარადგინოს წინადადება ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ეტაპზე. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია

ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

2. სატენდერო წინადადების წარდგენამდე ნებისმიერ რეგისტრირებულ მომხმარებელს უფლება აქვს გაეცნოს სატენდერო განცხადებას და სატენდერო დოკუმენტაციას.

3. წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ, ამ პუნქტში გათვალისწინებული თანმიმდევრობით.

4. წინადადების წარდგენის დროს პრეტენდენტმა პირველ რიგში სისტემაში უნდა ატვირთოს ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს წარმოდგენილი შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ და ხარისხობრივ აღწერას. ამის შემდეგ პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს წინადადების ფასი (ეროვნულ ვალუტაში), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის ღირებულებას ან უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე სულ მცირე ერთი ბიჯით ნაკლები. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვისა და წინადადების ფასის მითითების შემდეგ, დაუშვებელია ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის შეცვლა, დამატება, გაუქმება ან წაშლა.

5. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო განცხადებით გათვალისწინებულია წინადადების ფასის დღგ-ის გარეშე წარდგენა, პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში შერჩევა-შეფასება ხორციელდება წარმოდგენილი წინადადების ფასების მიხედვით. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინოს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის პრეტენდენტი არის დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

6. წინადადების წარდგენისთანავე პრეტენდენტს სისტემის მეშვეობით ეძლევა საშუალება მონაწილეობა მიიღოს ელექტრონულ ვაჭრობაში. ძირითადი დროის განმავლობაში შესაძლებელია წინადადების ფასის შეცვლა კლებადობის პრინციპის მიხედვით. წინადადების ფასის ყოველი შემდგომი შემცირება უნდა მოხდეს პრეტენდენტის მიერ წინა შეთავაზებულ ფასთან მიმართებაში, არანაკლებ ბიჯით განსაზღვრული ოდენობისა.

7. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე მაღალი წინადადების ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში – ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე მაღალი წინადადების ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის

პრეტენდენტი, რომელმაც ბოლომ დააფიქსირა ასეთი ფასი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის.

8. ძირითად დროში სისტემა უზრუნველყოფს პრეტენდენტთა ვინაობის ანონიმურობას, აგრეთვე მათ მიერ მითითებული წინადადების ფასისა და ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის დაფარვას. პრეტენდენტის მიერ მითითებული წინადადების ფასი ხელმისაწვდომი ხდება დამატებითი რაუნდების დაწყებიდან. *(1.06.2011 N 13)*

9. ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ეტაპზე პრეტენდენტის/პრეტენდენტების (არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და მის/მათ მიერ ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი ხდება სტუმრისა და რეგისტრირებული მომხმარებლისთვის.

10. პრეტენდენტს უფლება აქვს, უარი თქვას სატენდერო წინადადებაზე ხელშეკრულების დასადებად მოწვევამდე. სატენდერო წინადადებაზე უარის თქმა იწვევს ამ წესის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შედეგს. *(28.06.2016 N 5 ამოქმედდეს 2016 წლის 1 ივლისიდან)*

მუხლი 11. ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ და შესყიდვის ობიექტის აღწერის წესი

1. შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უფლებამოსილია განსაზღვროს მოთხოვნები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს შესყიდვის ობიექტი, პრეტენდენტთა ტექნიკური დოკუმენტაცია და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ამ მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით. *(29.12.2011 N 22)*

2. ტექნიკური მოთხოვნები შეიძლება დაწესებულ იქნეს პრეტენდენტთა პროფესიული კვალიფიკაციის, ფინანსური რესურსების, გამოცდილებისა და რეპუტაციის, ტექნიკური აღჭურვილობისა და სხვა საკითხების მიმართ.

2^1. სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულების შესახებ მითითების არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. შემსყიდველმა ორგანიზაციამ წინასწარ, მკაფიოდ უნდა განსაზღვროს სატენდერო დოკუმენტაციაში, თუ რა სახის დოკუმენტაციით უნდა დაასაბუთოს პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა.

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება ამ წესის მე-12 მუხლის მე-11–მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები. *(2.07.2015 N 11)*|

3. **ამოღებულია** *(23.01.2015 N 1 ამოქმედდეს 2015 წლის 15 თებერვლიდან და არ გავრცელდეს 2015 წლის 15 თებერვლამდე გამოცხადებულ ტენდერებზე)*

4. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნები შეიძლება დაწესებულ იქნეს პრეტენდენტთა მდგომარეობის/საქმიანობის სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებით (სარეგისტრაციო მონაცემები, უფლებრივი შეზღუდვები, არსებული ფინანსური და სხვა სახის ვალდებულებები და სხვ.). ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე, სატენდერო დოკუმენტაცია შესაძლებელია არ შეიცავდეს პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნას. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნა ხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და უნდა იყოს დასაბუთებული სატენდერო დოკუმენტაციაში, ხოლო მათი რაოდენობა – შესაძლოდ მინიმალური, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით. *(29.12.2011 N 22)*

5. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. დოკუმენტაციასთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტისას უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს შემსყიდველი ორგანიზაცია.

6. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული ტექსტური მასალები, ტექნიკური სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, ესკიზები და სხვა მასალები შეუსაბამოს საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ სტანდარტებს, ტექნიკურ მაჩვენებლებს, ტერმინოლოგიას და პირობით აღნიშვნებს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიუთითოს შესაბამის გამოყენებულ სტანდარტზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში). *(8.07.2011 N 16)*

7. დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში:

ა) მითითებულ იქნეს კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, პატენტი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არ არსებობს შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერის სხვა საშუალებები. ასეთ შემთხვევებში შესყიდვის ობიექტის აღწერისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორიცაა „მსგავსი", „ეკვივალენტური" და სხვა;

ბ) გამოყენებულ იქნეს ისეთი მახასიათებლები და ტერმინოლოგია, რომლებიც ორაზროვანია და უშვებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

მუხლი 12. შერჩევა/შეფასება *(23.01.2015 N 1 ამოქმედდეს 2015 წლის 15 თებერვლიდან და არ გავრცელდეს 2015 წლის 15 თებერვლამდე გამოცხადებულ ტენდერებზე)*

1. სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტები ფასდებიან წინადადების ფასის, მათ მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაციისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით, ამ პუნქტით გათვალისწინებული თანმიმდევრობით.

2. პრეტენდენტის წინადადების ფასი ფასდება წინადადებების მიღების დასრულებისთანავე. ტექნიკური დოკუმენტაცია ფასდება შერჩევა/შეფასების ეტაპზე, ხოლო საკვალიფიკაციო მონაცემები ფასდება გამარჯვებულის გამოვლენის ეტაპზე.

3. ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებისთანავე სისტემა ავტომატურად აჯგუფებს პრეტენდენტებს (მათი არსებობის შემთხვევაში) წინადადების ყველაზე დაბალი ფასის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია ყველაზე დაბალი თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა წინადადების ყველაზე დაბალი ფასი.

4. სატენდერო კომისიამ, ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, უნდა იმსჯელოს, შეესაბამება თუ არა წინადადების ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ წინადადებების მიღების ეტაპზე სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს. ამ პუნქტში მითითებული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, სატენდერო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ობიექტური მიზეზ(ებ)ი.

5. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, გარდა ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს.

7. თუ სისტემაში მთლიანი ტექნიკური დოკუმენტაცია ატვირთულია ხარვეზის მქონე ფაილის სახით (რომელიც არ იკითხება), შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება არ აქვს, პრეტენდენტს მიმართოს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხარვეზიანია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი ნაწილი, რომლის წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ

გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს.

8. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სატენდერო კომისია, ამ მუხლის მე-4 პუნქტით დაწესებულ ვადაში, მიმართავს პრეტენდენტს მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა. სატენდერო კომისია ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს პრეტენდენტს დასაზუსტებელი პოზიციის/ნაწილის შესახებ. თუ ამ პუნქტით დადგენილ ვადაში დაზუსტებული დოკუმენტაცია არ იქნება წარდგენილი, სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

9. ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ ტენდერისთვის სტატუსის „გამარჯვებული გამოვლენილია“ მინიჭებამდე. დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობა უნდა დადგინდეს დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის/დოკუმენტაციების წარმოდგენისთვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში. დაუშვებელია დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის განმეორებით დაზუსტება. *(2.07.2015 N 11)*

10. ხარჯთაღრიცხვის (განფასების) დაზუსტება დასაშვებია: *(2.07.2015 N 11)*

ა) ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნასთან ერთად – თუ დაზუსტებას აგრეთვე საჭიროებს ტექნიკური დოკუმენტაცია. ასეთ შემთხვევაში, ხარჯთაღრიცხვის დაუზუსტებლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ამ წესის შესაბამისად, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

ბ) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნასთან ერთად, იმავე ვადაში – თუ ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასების შედეგად დაზუსტებას საჭიროებს მხოლოდ ხარჯთაღრიცხვა და სატენდერო დოკუმენტაცია ითვალისწინებს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენას. ასეთ შემთხვევაში, ხარჯთაღრიცხვის დაუზუსტებლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ამ წესის შესაბამისად, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

გ) ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის წარმოდგენის მოთხოვნასთან (ასეთი მოთხოვნების არსებობისას) ან/და ხელშეკრულების დასადებად მოწვევასთან ერთად – თუ ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასების შედეგად დაზუსტებას საჭიროებს მხოლოდ ხარჯთაღრიცხვა და სატენდერო დოკუმენტაცია არ ითვალისწინებს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენას. ასეთ შემთხვევაში, ხარჯთაღრიცხვის დაუზუსტებლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ამ წესის შესაბამისად, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ხარჯთაღრიცხვის დაზუსტებისათვის დგინდება არაუმეტეს 3 სამუშაო დღე, რომელიც ითვლება ხელშეკრულების დადებისათვის განსაზღვრულ ვადაში.

11. შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვის ობიექტის ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენის მოთხოვნით მიმართავს ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადაში. შემსყიდველ ორგანიზაციაში შესყიდვის ობიექტის ნიმუშისა და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ ტენდერისთვის სტატუსის „გამარჯვებული გამოვლენილია“ მინიჭებამდე. *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

12. შესყიდვის ობიექტის ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენისთვის შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, განსაზღვროს არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადა. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, სატენდერო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ობიექტური მიზეზ(ებ)ი. *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

13. შესყიდვის ობიექტის ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისობა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან უნდა დადგინდეს შესყიდვის ობიექტის ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენისთვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 2 სამუშაო დღით, სატენდერო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ობიექტური მიზეზ(ებ)ი. თუ ექსპერტიზას ატარებს შემსყიდველი ორგანიზაცია, ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს შესყიდვის ობიექტის ნიმუშის (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენისთვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, სატენდერო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ობიექტური მიზეზ(ებ)ი. *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

13^1. შესყიდვის ობიექტის ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) წარუდგენლობა ან შეუსაბამობა სატენდერო განცხადებასთან, სატენდერო დოკუმენტაციასთან ან/და სისტემის მეშვეობით პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან, გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

14. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) დაზუსტებას არ ექვემდებარება. პრეტენდენტს შესყიდვის ობიექტის ნიმუში უბრუნდება გონივრულ ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნიმუში მალფუჭებადი ნივთია, რაც უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ.

15. ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის, მათ შორის, დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის, აგრეთვე შესყიდვის ობიექტის ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის (ასეთი მოთხოვნის არსებობის შეთხვევაში) სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისთანავე, სატენდერო კომისია მიმართავს შესაბამის პრეტენდენტს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს:

ა) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა;

ბ) ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა.

16. წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობა უნდა დადგინდეს მათი წარმოდგენისთვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში. *(2.07.2015 N 11)*

17. პრეტენდენტის მიერ დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები შემსყიდველ ორგანიზაციას წარედგინება სისტემის მეშვეობით.

18. ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, მოსთხოვოს პრეტენდენტს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის. ასეთი დოკუმენტაციის წარუდგენლობა არ შეიძლება გახდეს ტენდერიდან პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველი.

19. იმ შემთხვევაში, თუ ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტი ამ წესის მე-13 მუხლის შესაბამისად დისკვალიფიცირებულ იქნება ტენდერიდან, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, ასეთი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციიდან, ამ მუხლის მე-4 პუნქტით დაწესებული ვადის დაცვით, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, დადგენილი წესით, მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე მომდევნო პრეტენდენტს. თუ მომდევნო ყველაზე

დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად მნიშვნელოვნად აღემატება ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, სატენდერო კომისიას უფლება აქვს, შეწყვიტოს ტენდერი.

20. ამ მუხლის, აგრეთვე ამ წესის მე-15 მუხლით დადგენილი ვადების ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული მაქსიმალური ვადების დარღვევა არ იწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ვადის დარღვევა ემსახურება უპირატესობის მინიჭებას იმ პრეტენდენტისთვის, რომლის მიმართაც გამოტანილია ასეთი გადაწყვეტილება.

მუხლი 13. დისკვალიფიკაცია *(23.01.2015 N 1 ამოქმედდეს 2015 წლის 15 თებერვლიდან და არ გავრცელდეს 2015 წლის 15 თებერვლამდე გამოცხადებულ ტენდერებზე)*

1. სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესახებ ოქმი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ატვირთული სისტემაში მისი ხელმოწერისთანავე.

2. პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, ამ წესის მე-12 მუხლის მე-5–მე-7 პუნქტების გათვალისწინებით, არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

ბ) თუ პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

დ) თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას ამ წესის მე-12 მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილ ვადაში;

ე) თუ ის არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს ამ წესის მოთხოვნათა დაცვით;

ვ) თუ ის არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების გარანტიას (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში), უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან/და სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე;

ზ) თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

მუხლი 14. სატენდერო კომისია

1. ტენდერს ატარებს სატენდერო კომისია, რომელსაც არანაკლებ სამი წევრის შემადგენლობით ქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

2. სატენდერო კომისიას თავმჯდომარეობს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ დანიშნული პირი.

3. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიაში ექსპერტებად და კონსულტანტებად შეიძლება მოწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

4. სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, ამ ორგანიზაციის თანამშრომელთაგან იქმნება სატენდერო კომისიის აპარატი, რომელსაც ხელმძღვანელობს სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

5. სატენდერო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. სატენდერო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6. სატენდერო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა აისახოს სატენდერო კომისიის შესაბამისი სხდომის ოქმში. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება მხოლოდ სატენდერო კომისიის ყველა დამსწრე წევრის მიერ ოქმზე ხელმოწერის შემდეგ. ყველა ის სხდომის ოქმი, რომელიც შეიქმნება ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ, სატენდერო კომისიის დამსწრე წევრების მიერ ხელმოწერისთანავე ატვირთული უნდა იქნეს სისტემაში. სისტემაში ატვირთული ოქმის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ სისტემაში უკვე ატვირთული ოქმის გაუქმებით და შეცვლილი/დამატებული ოქმის სისტემაში ატვირთვის გზით. შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის ნებისმიერი მიმოწერა/შეტყობინების გაგზავნა ხდება სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით და სისტემის გამოყენების გარეშე მიმოწერა/შეტყობინება სავალდებულო არ არის. მიმოწერა/შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან. *(7.09.2012 N 10)*

მუხლი 15. ტენდერის ჩატარების შედეგად ხელშეკრულების დადება და სისტემაში ატვირთვა *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

1. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენისთანავე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში მოთხოვნილია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა – სატენდერო კომისიის მიერ მონაცემების სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენისთანავე, სატენდერო კომისია ამ პრეტენდენტს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოსადგენად და ხელშეკრულების დასადებად განუსაზღვრავს არანაკლებ 4 და არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადას.

2. თუ ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია მოთხოვნილი არ არის, სატენდერო კომისია პრეტენდენტს ხელშეკრულების დასადებად განუსაზღვრავს არანაკლებ 4 და არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადას.

3. თუ ტენდერის შედეგად ხელშეკრულება იდება უცხოელ კონტრაჰენტთან, ხელშეკრულებაში გამოსაყენებელ სამართლად მითითებულია უცხო ქვეყნის სამართალი ან/და დავის განმხილველად განსაზღვრულია არბიტრაჟი ან უცხო ქვეყნის სასამართლო, რის გამოც ასეთი ხელშეკრულების პროექტი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროებს შესაბამისი უწყებ(ებ)ის სამართლებრივ ექსპერტიზას ან თანხმობას, სატენდერო კომისია პრეტენდენტს ხელშეკრულების დასადებად განუსაზღვრავს არანაკლებ 4 და არაუმეტეს 20 სამუშაო დღის ვადას.

4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოსადგენად ან/და ხელშეკრულების დასადებად განსაზღვრული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, მხოლოდ სატენდერო კომისიის დასაბუთებული ოქმის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება ობიექტური მიზეზ(ებ)ი, რომლის გამოც ვერ ხერხდება ხელშეკრულების დადება დადგენილ ვადაში.

5. ტენდერისთვის სტატუსის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მინიჭების მომდევნო 3 სამუშაო დღის განმავლობაში დაუშვებელია ხელშეკრულების დადება.

6. ხელშეკრულება შემსყიდველმა ორგანიზაციამ სისტემაში უნდა ატვირთოს მისი დადებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.

მუხლი 16. ელექტრონული გარანტია და საფასური

1. ელექტრონული გარანტიის ბენეფიციარი/მიმღები არის სააგენტო. ელექტრონული გარანტიის სააგენტოსთვის წარდგენა და საფასურის გადახდა ხორციელდება სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების მეშვეობით.

2. ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს. ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: *(21.08.2012 N 8)*

ა) ელექტრონული გარანტიების რეესტრის მეშვეობით გაცემული ელექტრონული გარანტიისათვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – არანაკლებ 120 კალენდარული დღით, ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპიდან;

ბ) ელექტრონული გარანტიების რეესტრის მეშვეობით გაცემული ელექტრონული გარანტიისათვის ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – არანაკლებ 160 კალენდარული დღით, ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპიდან;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტია წარდგენილია საბანკო პლასტიკური ბარათიდან სააგენტოს ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით, სისტემა ავტომატური საშუალებების გამოყენებით უზრუნველყოფს ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადას შესაბამისი ტენდერისათვის საბოლოო სტატუსის მინიჭებამდე.

3. წინადადების წარდგენისათვის საფასურის ოდენობა შეადგენს 50 ლარს.

4. ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ხდება ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვამდე.

5. ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე, სააგენტოსთან წინასწარი შეთანხმებით. სააგენტოს წინასწარი თანხმობის მიღება ხდება წერილობითი ფორმით ან სააგენტოს ელექტრონული ფოსტის info@procurement.gov.ge მეშვეობით. *(8.07.2011 N 16)*

5[1]. ტენდერისთვის საბოლოო სტატუსის მინიჭების შემდეგ სტატუსის შეცვლის საჭიროების შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების აღსრულების ან/და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შერჩევა-შეფასების წესების არასათანადო გამოყენებით გამოწვეული შედეგების გამოსწორების აუცილებლობით, ახალი ელექტრონული გარანტიის წარდგენა ხდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ან ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვადით. ასეთ შემთხვევაში, გარანტია წარდგენილ უნდა იქნეს სააგენტოში სისტემის გამოყენების გარეშე. ტენდერისათვის სტატუსის შეცვლა ხორციელდება მხოლოდ სააგენტოში ახალი გარანტიის წარდგენის შემდეგ. *(16.05.2013 N 11)*

6. ტენდერისთვის სტატუსის „ხელშეკრულება დადებულია“, „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ ან „შეწყვეტილია“ მინიჭების შემდეგ, პრეტენდენტს უბრუნდება ელექტრონული გარანტია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი დისკვალიფიცირებულია ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“, „ე“, „ვ“ ან „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე, თუ პრეტენდენტი ელექტრონული ვაჭრობის ძირითად დროში უარს იტყვის სატენდერო წინადადებაზე. *(28.06.2016 N 5 ამოქმედდეს 2016 წლის 1 ივლისიდან)*

7. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისათვის დაბრუნება მოხდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის ან/და მე-6 პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე. *(21.08.2012 N 8)*

7[1]. გარანტი ვალდებულია სააგენტოს მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს გარანტიების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული ელექტრონული გარანტიის შესრულების ან გარანტიით გათვალისწინებულ უფლებაზე უარის თქმის შესახებ სისტემის მეშვეობით სააგენტოს მიერ ელექტრონული შეტყობინების სახით გაგზავნილი მოთხოვნის შესრულება. *(21.08.2012 N 8)*

8. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას, რომელიც ვალდებულია აღნიშნული დოკუმენტების ასლი მიღებისთანავე წერილობით

გააგზავნოს სააგენტოში. აღნიშნული ასლის გაგზავნა ასევე უნდა მოხდეს სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე info@procurement.gov.ge.

9. გადახდილი საფასურის უკან დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფასური შეცდომით გადახდილია კანონით განსაზღვრულ განაკვეთზე მეტი ოდენობით. ამ შემთხვევაში ბრუნდება სხვაობა გადახდილ თანხასა და კანონით განსაზღვრულ განაკვეთს შორის.

10. შეცდომით ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების შესახებ სააგენტოში წარმოდგენილი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს შეცდომით გადახდილი ზედმეტი თანხის დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას და შესაბამის დოკუმენტაციას. შეცდომით ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების თაობაზე დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააგენტო ამ მოთხოვნას ათი სამუშაო დღის ვადაში უგზავნის თანხის დაბრუნებაზე შესაბამის უფლებამოსილ პირს.

11. სააგენტოში მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს შეცდომით ზედმეტად გადახდილი თანხის გადახდიდან სამი თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ ზედმეტად გადახდილი თანხა არ ბრუნდება. ამ ვადის გაგრძელება ან გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.

მუხლი 17. ინტერესთა კონფლიქტი *(11.05.2012 N 4)*

1. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები ეხება კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირებს ამ მუხლის მე–4 პუნქტის თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირს ექნება ინტერესთა კონფლიქტი პრეტენდენტთან ან მიმწოდებელთან, თუ მათ შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები.

3. თითოეულ შემთხვევაში, ელექტრონული ვაჭრობის დასრულების შემდეგ, სატენდერო კომისიის და მისი აპარატის წევრები ვალდებულნი არიან წერილობით დაადასტურონ მათ და პრეტენდენტებს შორის კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა და აღნიშნული დოკუმენტი ატვირთონ სისტემაში ასატვირთ პირველივე ოქმთან ერთად.

4.თუ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პრეტენდენტი ან მიმწოდებელი არის კანონის მე–3 მუხლით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაცია, ინტერესთა კონფლიქტს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირსა და პრეტენდენტს ან მიმწოდებელს შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ურთიერთობა, გარდა ამ ნაწილის „გ“–„ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ურთიერთობისა.

მუხლი 18. სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების შეჩერება და შეწყვეტა

1. სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია არა უგვიანეს სამი სამუშაო დღისა აცნობებს თავის გადაწყვეტილებას და მისი მიღების საფუძველს სააგენტოს და პრეტენდენტებს. შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის ვალდებული შესყიდვაში მონაწილე პირებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულებანი ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიღებული იქნა ეს გადაწყვეტილება, აგრეთვე აუნაზღაუროს მათ შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.";

1[1]. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ცნობებად ჩაითვლება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სისტემაში შესაბამისი გადაწყვეტილების ამსახველი დოკუმენტის (ოქმის) ატვირთვა, რაც უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების მიღებისთანავე. *(26.10.2011 N 19)*

2. ამოღებულია *(26.10.2011 N 19)*

3. ამოღებულია *(26.10.2011 N 19)*

4. ამოღებულია *(26.10.2011 N 19)*

მუხლი 19. ხელშეკრულება

1. ტენდერის შემთხვევაში ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებისა და ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების პირობების შესაბამისად. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით დაფიქსირებულ საბოლოო ფასს, გარდა ამ წესის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების ღირებულებაში ითვალისწინებს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობას. *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

2. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულების დადება შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. ხელშეკრულების უცხოურ ენაზე დადების შემთხვევაში, იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე.

3. ამოღებულია *(19.12.2012 N 15)*

4. ამოღებულია *(19.12.2012 N 15)*

5. ამოღებულია *(19.12.2012 N 15)*

6. ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

ა) მხარეთა ზუსტ დასახელებასა და რეკვიზიტებს;

ბ) სატენდერო განცხადების ნომერს;

გ) შესყიდვის ობიექტის დასახელებასა და მის შესაბამის CPV კოდს (კლასიფიკატორის კატეგორია, კლასი, ჯგუფი ან დანაყოფი. კლასიფიკატორის

დაბალი იერარქიული დონის მითითების შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უთითებს მის მომდევნო ზედა იერარქიულ დონეს);

დ) ხელშეკრულების ღირებულებას;

ე) საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას;

ვ) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის პირობებს (გამოყენების შემთხვევაში);

ზ) ანგარიშსწორების წესს, აგრეთვე წინასწარი ანგარიშსწორების პირობებს (გამოყენების შემთხვევაში);

თ) სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – შესასრულებელი სამუშაოს გონივრულ საგარანტიო ვადას;

ი) ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტულ ვადას.

7. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის გარანტია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა. *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

8. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს დამატებითი პირობები.

9. **ამოღებულია** *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

10. **ამოღებულია** *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

11. **ამოღებულია** *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

12. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით კონკრეტული ხელშეკრულების/შესყიდვის მიმართ შეიძლება დადგინდეს ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილისაგან განსხვავებული პირობები, აგრეთვე ასეთი ხელშეკრულების მიმართ ამ მუხლის, ასევე ამ წესის მე-20 და 21-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გავრცელების საკითხი. *(11.05.2012 N 4)*

13. საქართველოს თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, შეიძლება დადგინდეს ამ მუხლის მე-7 პუნქტით, აგრეთვე ამ წესის 21-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნების გავრცელების საკითხი ან/და მათგან განსხვავებული პირობები, იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის/მიმწოდებლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს მართავს/ფლობს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ან/და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაცია. *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

14. ხელშეკრულების მოქმედება სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ანდა სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას. *(2.07.2013 N 14 ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან)*

15. კანონისა და ამ წესის თავისებურებათა გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო

კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

მუხლი 20. ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანა

1. ტენდერის ჩატარების შედეგად დადებულ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება/დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და აიტვირთოს სისტემაში ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანიდან 10 დღის ვადაში. *(19.12.2012 N 15)*

2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა, გარდა ამ წესის 27-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი შემთხვევებისა. ამ პუნქტით დადგენილი მოთხოვნა არ ვრცელდება ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვაზე. *(29.04.2015 N 4)*

მუხლი 21. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

1. თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა განისაზღვრება:

ა) ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 5%-ის ჩათვლით;

ბ) ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 10%-ის ჩათვლით – თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენისგან შესაძლებელია განთავისუფლდეს პრეტენდენტი ან პოტენციური მიმწოდებელი მისი საქმიანი რეპუტაციისა და მის მიერ წარმოებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ხარისხისა და ცნობადობის გათვალისწინებით, აგრეთვე თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი.

4. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია, ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თეთრ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებელს არ ათავისუფლებს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენისგან, თეთრ სიაში

რეგისტრირებული მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს მოთხოვნილი ოდენობის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ნახევარს.

5. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია შემსყიდველ ორგანიზაციას, ამ წესის შესაბამისად, წარედგინება ხელშეკრულების დადებამდე.

6. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, დასაბუთებული გადაწყვეტილებით არ მიიღოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის ისეთი გარანტია, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

7. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა, გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების ან ამ ვალდებულებების გაუქმების პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებით.

მუხლი 22. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს როგორც თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს, ასევე ნებისმიერ სხვა პირს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის, მომსახურების, სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

3. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტის გაფორმების საფუძველზე.

4. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

6. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. **ამოღებულია** *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

მუხლი 22[1]. ხელშეკრულების სტატუსები *(20.06.2013 N 12)*

1. ხელშეკრულებისათვის ამ წესის მე–2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ჟ^{2}“ და ,,ჟ^{3}“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ხელშეკრულების სტატუსების მინიჭების შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულებასთან/შეუსრულებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სისტემის შესაბამის ველში უნდა აიტვირთოს მისი შექმნიდან 10 დღის ვადაში.

2. ხელშეკრულებისათვის ამ წესის მე–2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ჟ^{2}“ და ,,ჟ^{3}“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტატუსების მინიჭების შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციად ჩაითვლება ნებისმიერი დოკუმენტი/კორესპონდენცია, რაც დაკავშირებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან/შეუსრულებლობასთან (მათ შორის, მიღება/ჩაბარების აქტი, ზედნადები, ანგარიშფაქტურა, ფოტოსურათი და სხვა.).

მუხლი 23. ამოღებულია *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

მუხლი 24. ამოღებულია *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 16 ნოემბრიდან)*

მუხლი 25. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადების განსაკუთრებული შემთხვევა *(2.07.2015 N 11)*

1. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით შესაძლებელია ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში დადგინდეს 200 000 ლარის ან 200 000 ლარზე მეტი ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით შესყიდვის განხორციელება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ უნდა აიტვირთოს სისტემაში სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

მუხლი 26. ტენდერის მეშვეობით მომსახურების შესყიდვის განსაკუთრებული შემთხვევა

1. ტენდერის მეშვეობით დანართი №4-ით განსაზღვრული ან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მომსახურებისა და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საცხებ-საპოხი მასალის სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს პრეისკურანტის საფუძველზე. *(20.11.2014 N 10)*

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო განცხადების პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების ველში უთითებს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებას, ხოლო შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულების ველში – შესყიდვის

ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულებას, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს პრეისკურანტის ღირებულებისაგან.

3. პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით წარდგენილი წინადადების ფასი არ უნდა აღემატებოდეს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებას და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად წინადადების ფასის კლება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებაში.

4. პრეისკურანტის საფუძველზე ტენდერის ჩატარებისას, შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო დოკუმენტაციაში თვითონ განსაზღვრავს პრეისკურანტში მოცემული მომსახურების ერთეულების ღირებულების დადგენის წესს გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით წარდგენილი წინადადების საბოლოო ფასთან მიმართებაში. *(21.08.2013 N 15)*

5. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების დადების შემდეგ, პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს. *(21.08.2013 N 15)*|

მუხლი 26[1]. სისტემის გაუმართაობის ან სისტემაში შემსყიდველი ორგანიზაციის არასწორი ქმედების განსაკუთრებული შემთხვევა *(სათაური 25.08.2014 N 4) (24.05.2011 N 12)*

1. თუ სისტემაში არსებული ტექნიკური ხარვეზის გამო მიმწოდებელი ვერ ახორციელებს გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში ან/და ელექტრონულ ტენდერში ელექტრონული გარანტიის წარდგენას, საფასურის გადახდასა და სატენდერო წინადადების წარდგენას, სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამის გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში ან/და ელექტრონულ ტენდერში წინადადებების მიღების დასრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღება სააგენტოს შეუძლია მხოლოდ იმ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან ან/და ელექტრონულ ტენდერთან მიმართებით, რომელშიც წინადადებების მიღების დასრულების დრო ემთხვევა სისტემაში ტექნიკური ხარვეზის არსებობას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს ამ გადაწყვეტილების მიღებამდე გამართულ დამატებით რაუნდებთან და მინიჭებულ სტატუსებთან დაკავშირებული საკითხები.

4. სააგენტოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება და ძალაშია მისი სისტემაში რეგისტრირებული ყველა მომხმარებლისთვის სისტემის მეშვეობით

გაგზავნის მომენტიდან. სააგენტოს ასეთი გადაწყვეტილება დამატებით უნდა გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge) სიახლეებისთვის განკუთვნილ ადგილას.

5. ტენდერისთვის ან/და ხელშეკრულებისთვის არასწორად მინიჭებულ სტატუსს ცვლის სააგენტო შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთებული წერილობითი მომართვის საფუძველზე, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერს ან ხელშეკრულებას არასწორად მიანიჭებს სტატუსს ანდა ტენდერისთვის მინიჭებული სტატუსის შეცვლა გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) გადაწყვეტილების აღსრულებით. *(25.08.2014 N 4)*

6. ტენდერისთვის საბოლოო სტატუსის მინიჭების შემდეგ სისტემაში პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველს ცვლის ან/და მიუთითებს სააგენტო შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთებული წერილობითი მომართვის საფუძველზე, თუ სისტემაში მითითებული პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძვლის შეცვლა ან/და მითითება გამოწვეულია ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი საფუძვლით: *(25.08.2014 N 4)*

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შერჩევა-შეფასებისთვის დადგენილი წესების არასათანადო გამოყენებით დამდგარი შედეგების გამოსწორების აუცილებლობით;

ბ) საბჭოს გადაწყვეტილების აღსრულებით.

7. ტენდერისთვის საბოლოო სტატუსის მინიჭებამდე სისტემაში პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველს აუქმებს სააგენტო შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთებული წერილობითი მომართვის საფუძველზე, თუ სისტემაში მითითებული პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძვლის გაუქმება გამოწვეულია ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი საფუძვლით: *(25.08.2014 N 4)*

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შერჩევა-შეფასებისთვის დადგენილი წესების არასათანადო გამოყენებით დამდგარი შედეგების გამოსწორების აუცილებლობით;

ბ) საბჭოს გადაწყვეტილების აღსრულებით.

მუხლი 26^{2}. ამოღებულია *(26.02.2016 N 3 ამოქმედდეს 2016 წლის 1 მარტიდან)*

მუხლი 26^{3}. წინასწარი ანგარიშწორებისას გადასახდელი თანხის განკარგვა შემსყიდველი ორგანიზაციის თანხობით *(11.05.2012 N 4)*

1. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარი ანგარიშწორებისას გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია, თუ მიმწოდებლისათვის წინასწარ გადასახდელი თანხა ჩაირიცხება საამისოდ განკუთვნილ ცალკე საბანკო ანგარიშზე და ამ თანხის გამოყენება მოხდება შემსყიდველი ორგანიზაციის კონტროლით ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში.

2. საამისოდ ცალკე საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული წინასწარ გადასახდელი თანხის კონტროლი შესაძლებელია მოიცავდეს თანხის განკარგვის წინასწარ კონტროლს, დადგენილი ზღვრული ოდენობის თანხის განკარგვის წინასწარ კონტროლს და გახარჯული თანხის შემდგომ კონტროლს, თუ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული

3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გათავისუფლების შესახებ უნდა მიეთოთოს სატენდერო დოკუმენტაციაში. *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

მუხლი 26[4]. წინასწარ გადასახდელ თანხაზე გარანტიის წარდგენისაგან გათავისუფლება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გამო *(11.05.2012 N 4)*

1. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარი ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია, თუ კონკრეტული ხელშეკრულების ჯამური ღირებულება აღემატება 30 000 000 მილიონ ლარს. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია მისი საქმიანი რეპუტაციისა და მის მიერ წარმოებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ხარისხისა და ცნობადობის გათვალისწინებით.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გათავისუფლების შესაძლებლობისა და ასეთი გათავისუფლების პირობების შესახებ უნდა მიეთითოს სატენდერო დოკუმენტაციაში. *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

მუხლი 26[5]. ტენდერის გამოცხადება ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე *(28.06.2016 N 5 ამოქმედდეს 2016 წლის 1 ივლისიდან)*

1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ტენდერი გამოაცხადოს ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე. ასეთ შემთხვევაში, ელექტრონული ვაჭრობა მიმდინარეობს მხოლოდ ელექტრონული ვაჭრობის ძირითად დროში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემდეგ, პრეტენდენტს უფლება აქვს, ელექტრონული ვაჭრობის ძირითადი დროის დასრულებამდე, მხოლოდ ერთხელ, შეამციროს მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ფასი არანაკლებ ერთი ბიჯის ოდენობით.

3. ელექტრონული ვაჭრობის ძირითად დროში სისტემა უზრუნველყოფს პრეტენდენტების რაოდენობის, მათი ვინაობისა და სატენდერო წინადადებების ანონიმურობას. ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებისთანავე საჯარო ხდება მხოლოდ ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის ვინაობა და სატენდერო წინადადება. ტენდერში პრეტენდენტთა რაოდენობა, სხვა პრეტენდენტების ვინაობა და მათი სატენდერო წინადადებები საჯარო ხდება მხოლოდ ტენდერისთვის სტატუსის „ხელშეკრულება დადებულია“ მინიჭების შემთხვევაში, სტატუსის მინიჭებისთანავე.

4. ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებისთანავე აგრეთვე საჯარო ხდება იმ პრეტენდენტის ვინაობა და სატენდერო წინადადება, რომელიც ელექტრონული ვაჭრობის ძირითად დროში უარს იტყვის სატენდერო წინადადებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. თუ ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტი მიიღებს დისკვალიფიკაციას, სატენდერო კომისია აფასებს სისტემის მიერ გამოვლენილ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლის ვინაობა და სატენდერო წინადადება საჯარო ხდება ტენდერიდან წინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაციისთანავე.

6. ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე გამოცხადებული ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები წესრიგდება ამ წესით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად.

მუხლი 27. გარდამავალი დებულებები

1. 2010 წლის ასიგნებების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერისთვის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონეტარული ზღვრების დაცვით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას, ერთგვაროვნების დადგენის მიზნებისათვის გათვალისწინებული არ იქნება 2010 წლის განმავლობაში ერთ პირთან მოლაპარაკების, ფასთა კოტირების და ტენდერის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, 2010 წლის 1 დეკემბრამდე დაწყებული სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების დასრულება განხორციელდება იმ ნორმების შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა ამ პროცედურების დაწყების დღისათვის.

3. ამ წესის მე-8 მუხლის მე-12 პუნქტის ამოქმედებამდე შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, სატენდერო განცხადება ამ წესის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ველში შესაძლებელია განთავსდეს ინგლისურ ენაზე. თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 500 000 ლარს, ხოლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 1 000 000 ლარს, სატენდერო განცხადების ყველა ველში მოცემული ინფორმაციის ამ

წესის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ველში ინგლისურ ენაზე განთავსება სავალდებულოა.

4. **ამოღებულია** *(29.10.2015 N16 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან)*

5. ხელშეკრულებისათვის ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ჟ^{2}" და ,,ჟ^{3}" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ხელშეკრულების სტატუსების მინიჭება 2013 წლის 15 ოქტომბრამდე სავალდებულოა მხოლოდ საქართველოს სამინისტროების ცენტრალური აპარატებისათვის, საქართველოს სამინისტროების მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისათვის და სსიპ – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის, ხოლო 2013 წლის 15 ოქტომბრის შემდეგ – ყველა შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. *(20.06.2013 N 12)*

6. **ამოღებულია** *(21.05.2015 N6 ამოქმედდეს 2015 წლის 22 მაისიდან)*

7. 2015 წლის 1 მარტამდე დადებული ხელშეკრულების შესრულებისას წარმოშობილი შეცვლილი გარემოებებით (ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობა ან/და რეგიონში ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენები) გამოწვეული მიმწოდებლის ხარჯის ზრდის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-მდე გაზრდა, თუ აღნიშნული იწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ზრდას 100 000 ლარზე მეტი ოდენობით, ასევე 10%-ზე მეტით გაზრდა შესაძლებელია შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით, თუ მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციაში წარადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნას, რომლითაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულების შესრულებისას ზემოაღნიშნული გარემოებებით გამოწვეული მიმწოდებლის ხარჯის გაზრდა. წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უზრუნველყოფს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდის საკითხის შეთანხმებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან. ხელშეკრულების ღირებულების გაზრდასა და მის ოდენობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო ექსპერტიზის მომსახურების ხარჯები – მიმწოდებელს. *(29.04.2015 N 4)*

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების უცვლელად, მიიღოს გადაწყვეტილება მისაწოდებელი საქონლის, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს ოდენობის/მოცულობის შემცირებაზე, რაც არ საჭიროებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებას. *(29.04.2015 N 4)*

9. ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებში გათვალისწინებული ექსპერტიზის დასკვნის გაცემისა და მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობის მიღებისთვის საჭირო ვადა მიმწოდებელს არ ჩაეთვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადაში. ეს ვადა ასევე არ იქნება გათვალისწინებული

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გამოთვლილისას, რაც დამატებით უნდა აისახოს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ მხარეთა შეთანხმებაში. *(29.04.2015 N 4)*

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტი არ ვრცელდება იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა საგანია სამშენებლო სამუშაოს შესრულება. ასეთ შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და არ დაუშვას სამშენებლო სამუშაოს მიმდინარეობის შეჩერება შესაბამისი დასკვნის წარმოდგენამდე. *(29.04.2015 N 4)*

11. ამ მუხლის მე-7–მე-10 პუნქტებით განსაზღვრული დებულებები არ ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელებულ შესყიდვებზე, აგრეთვე იმ სახელმწიფო შესყიდვებზე, რომელშიც განხორციელებულია ხელშეკრულების ღირებულების სრული ოდენობის წინასწარი ანგარიშსწორება ან რომელშიც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულდა სრულად და გაფორმდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი ამ მუხლის მე-7–მე-10 პუნქტებით განსაზღვრულ დებულებათა ამოქმედებამდე. *(29.04.2015 N 4)*

დანართი №1 ამოღებულია *(21.05.2015 N6 ამოქმედდეს 2015 წლის 22 მაისიდან)*

დანართი №2 *(2.07.2015 N 11)*



აფიდავიტი

სატენდერო/საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში/კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო/საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო/საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ სატენდერო/საკონკურსო წინადადებაში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და არასწორი;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო/საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო/საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო/საკონკურსო წინადადება ამ ტენდერში/კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

  - სატენდერო/საკონკურსო წინადადების ფასი;
  - სატენდერო/საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
  - სატენდერო/საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
  - ისეთი სატენდერო/საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის/კონკურსის პირობებს;
  - მესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო/საკონკურსო წინადადება;

* სატენდერო/საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო/საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

☐ გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

★ თანხმობა

სახელმწიფო მესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო/საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

დანართი №3 **ამოღებულია** *(26.02.2016 N 3 ამოქმედდეს 2016 წლის 1 მარტიდან)*

დანართი №4 *(20.11.2014 N 10)*

იმ მომსახურების CPV კოდები, რომელთა შესყიდვა შესაძლებელია პრეისკურანტის საფუძველზე

№	CPV კოდი	CPV კოდის დასახელება
1	50100000	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
2	50200000	თვითმფრინავების, რკინიგზის, საგზაო და საზღვაო მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები
3	50300000	პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიო-ვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები
4	50500000	ტუმბოების, სარქველების, ონკანებისა და ლითონის კონტეინერების, ასევე, მანქანა-დანადგარების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
5	50700000	შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
6	51700000	ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების მონტაჟი
7	55500000	სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება
8	65100000	წყლის განაწილება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
9	66500000	სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები
10	79500000	ოფისის მუშაობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებები
11	90400000	ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული მომსახურებები